

დავით ბარკაღიანი რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მიესაღმება



საგარეო საკმეთა
მინისტრი დავით
ბარკაღიანი რუსეთის
პრეზიდენტის
გადაწყვეტილებას
მიესაღმება. ამის
შესახებ მინისტრმა
“იმედის” გადაცემა
„ქრონიკის“ ეთერში
განაცხადა.

მინისტრი ვლადიმერ პუტინის განცხადებაზე ამბობს, რომ ეს იყო სწორი პოზიცია. მისი თქმით, საქართველო არ უნდა დაბრუნდეს მდგომარეობაში, საიდანაც ამოსვლა გაუჭირდება.

„ყველაფერი უნდა გავაკეთოთ სიტუაციის დეესკალაციისთვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მიღიოთობით ჩვენმა მოქალაქემ საკუთარ თავზე არ იწვიოს მძიმე ეკონომიკური შედეგები.“

მთავრობას, რა თქმა უნდა, აქვს ამაზე კონკრეტული გეგმა, ვმუშაობთ ყველა მიმართულებით, მთავრობის ცარკვეური ეკონომიკური ბლოკის მინისტრები ყოველდღიურ რეჟიმში ხვდებიან კერძო კომპანიებს, ტურისტური კომპანიების წარმომადგენლებს, ინდივიდუალურ მენარმეებს, ადამიანებს, ვისაც შესაძლოა, უშარლოშეხოს ეს პრობლემა და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ შევუმსუბუქოთ მათ ეს მძიმე ტვირთი“, – განაცხადა დავით ბარკაღიანმა.

რუსეთის პრეზიდენტს საქართველოს წინააღმდეგ სანქციების

შემოდება არ სურს, რასაც ქართველი ხადხის მიმართ პატივისცემით და რუსულ-ქართული ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით ხსნის. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოში ანტირუსულ განწყობებს ავრცელებს ისეთი ხადხი, რომედმაც ისტორია არ იცის და ამით საკუთარ ქვეყანას ვნებს.